არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი „ღონე“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი „ღონე“ (შემდგომში - კლუბი) არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რაგბის პოპულარიზაცია.

1.2. კლუბი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

1.3 კლუბის დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

1.4. კლუბი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

2.1 კლუბი ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით”, ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2 კლუბის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი „ღონე“.

2.3 კლუბის იურიდიული მისამართი: საქართველო, დ. ჩოხატაური, ნ.დუმბაძის ქუჩა N55.

2.4 კლუბს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

2.5. კლუბის ელექტრონული მისამართია: ელ.ფოსტა *ragbisklubighone@gmail.com*

მუხლი 3
საქმინაობის მიზნები

3.1. კლუბის მიზნებია:

ა) რაგბის პოპულარიზაცია;

ბ) ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა და განვითარება;

გ) მოზარდი თაობის ჯანსაღი აღზრდა;

დ) ჩოხატაურის „ღონე“-ს პროფესიული გუნდის შექმნა.

3.2 დასახული მიზნების მისაღწევად კლუბი განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:
ა) რაგბის შეხვედრების, ტურნირების და რაგბის დღესასწაულების ჩატარებას;
ბ) საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობას;
გ) საბავშვო რაგბის სკოლის შექმნასა და საქმიანობას;
დ) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.
ე) სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;
ვ) „ღონე“-ს გულშემატკივართა კლუბის შექმნა.

მუხლი 4
კლუბის მართვა

4.1 კლუბს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, თანმადებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი.
4.2 კლუბის დირექტორი:
ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთამ შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის საშტატო განრიგს და სტრუქტურას;
ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს კლუბის თანამშრომლებს;
გ) იღებს გადაწყვეტილებებს კლუბის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.
დ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს კლუბის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება; მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა კლუბის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;
ე) მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განსაზღვრავს ფასიანი სწავლების შემოღების საკითხს და გადასახადის ოდენობას;
ვ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
ზ) განსაზღვრავს კლუბის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
თ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ;
ი) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები;
4.3. კლუბის საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
4.4. კლუბის კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესის შესაბამისად.
4.5.კლუბი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.
4.6. კლუბი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 5

ქონება და ფინანსები

5.1 კლუბი დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფოს ან მუნიციპალიეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

5.2 კლუბის დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი;

ბ) სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

5.3 ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები კანონმდებლობის შესაბამისად მთლიანად ხმარდება მხოლოდ კლუბის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი გამოყენება სხვა მიზნით დაუშვებელია.

მუხლი 6

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

6.1 კლუბი უფლებამოსილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) სწავლის ქირის რაოდენობის განსაზღვრა;

ბ) უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება;

გ) სესხის აღება;

დ) თავდებობა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები კლუბის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7

ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

7.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

7.22. ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.3 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 8

წესდებაში ცვლილებისა და დამატები შეტანა

კლუბის წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9
დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შესაბამისი განკარგულებისა და მერის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების ამოქმედებიდან.

9.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

9.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.